


უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის  
ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები  
და სახელმძღვანელო პრინციპები

## ESG 2015

სახელმძღვანელო



EUROPEAN  
Higher Education Area



bologna  
process

The English version of the ESG is the only official version. The translating parties bear the responsibilities of any inaccuracies.

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების ინგლისური გამოცემა წარმოადგენს ერთადერთ ოფიციალურ ვერსიას. ნებისმიერი სახის უზუსტობისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მთარგმნელ მხარეს.

# უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები

ESG 2015

სახელმძღვანელო

მთარგმნელი: ლალი ბაქრაძე

რედაქტორი: თამარ ლორთქიფანიძე

ტექნიკური რედაქტორი: ნინო ურუშაძე



წინამდებარე პროექტი დაფინანსებულია ევროკომისიის მიერ. პუბლიკაცია ასახავს მხოლოდ ავტორთა აზრს და კომისია არ არის პასუხისმგებელი მის შინაარსზე.

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის  
სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები

## სარჩევი

წინასიტყვაობა.....	4
I. კონტექსტი, მოქმედების სფერო, მიზნები და პრინციპები.....	6
შემუშავების კონტექსტი.....	6
მოქმედების სფერო და ცნებები.....	8
ESG: მიზნები და პრინციპები.....	10
II. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები.....	11
ნაწილი 1. სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ხარისხის შიდა უზრუნველყოფისთვის.....	12
ნაწილი 2. სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ხარისხის გარე უზრუნველყოფისთვის.....	20
ნაწილი 3. სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებისთვის.....	24
III. დანართი: სტანდარტების შემაჯამებელი ჩამონათვალი.....	28

## წინასიტყვაობა

უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელმა მინისტრებმა 2005 წელს მიიღეს დოკუმენტი, “უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები”, რომელიც მოამზადა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულმა ასოციაციამ (ENQA) ევროპის სტუდენტთა ასოციაციასთან (ESU)<sup>1</sup>, ევროპის უმაღლესი განათლების ინსტიტუტების ასოციაციასა (EURASHE) და ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციასთან (EUA) თანამშრომლობით.

2005 წლის შემდეგ მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული, როგორც ხარისხის უზრუნველყოფაში, ასევე ბოლონიის პროცესის ისეთ სამოქმედო პრინციპებთან მიმართებაში, როგორცაა კვალიფიკაციების ჩარჩო, აღიარება და სწავლის შედეგების გამოყენების ხელშეწყობა. ყოველივე ამან თავისი წვლილი შეიტანა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა - სწავლებისკენ პარადიგმის ცვლილებაში.

უმაღლესი განათლების კონტექსტში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, 2012 წლის მინისტრიალის კომუნიკემ E4 ჯგუფს (ENQA, ESU, EUA, EURASHE), ისეთ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, როგორცაა საერთაშორისო განათლება (EI), ბიზნესევროპა და უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული რეესტრი (EQAR), შესთავაზა მოემზადებინა საწყისი წინადადებები “უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების” (ESG) რევიზიისათვის, რათა “გაუმჯობესდეს მისი მკაფიოობა, გამოყენება და გამოსადეგობა, მათ შორის მისი მოქმედების სფეროც”.

რევიზიის პროცესმა მოიცვა რამდენიმე საკონსულტაციო ციკლი ძირითადი დაინტერესებული ორგანიზაციებისა და სამინისტროების მონაწილეობით. სამუშაო ჯგუფმა ამ პროცესში მიღებულ წინადადებებს, კომენტარებსა და რეკომენდაციებს ძალიან სერიოზული ყურადღება მიაქცია და დეტალურად გაანალიზა. ყოველივე ზემოაღნიშნული აისახა წინამდებარე დოკუმენტში - “უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები - 2015” (ESG).

უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელმა მინისტრებმა 2015 წლის მაისში მიიღეს “უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები - 2015” (შემდგომში ESG). დოკუმენტის რევიზიაში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის გამო ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ ის ასახავს რევიზიის პროცესში ჩართული ყველა ორგანიზაციისა და სამინისტროს კონსენსუსს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით და ამგვარად, წარმოადგენს მყარ საფუძველს მისი განხორციელებისათვის.

---

<sup>1</sup>ESU არის ყოფილი ESIB - ევროპის სტუდენტების ეროვნული კავშირები

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია (ENQA)

ევროპის სტუდენტთა კავშირი (ESU)

ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია (EUA)

ევროპის უმაღლესი განათლების ინსტიტუტების ასოციაცია (EURASHE)

შემდეგ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით:

საერთაშორისო განათლება (EI)

ბიზნესევროპა (BUSINESSEUROPE)

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული რეესტრი (EQAR)

# I. კონტექსტი, მოქმედების სფერო, მიზნები და პრინციპები

## შემუშავების კონტექსტი

უმაღლესი განათლება, კვლევა და ინოვაცია გადამწყვეტ როლს ასრულებს სოციალური ინტეგრაციის, ეკონომიკური ზრდისა და გლობალური კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობის საქმეში. ევროპული საზოგადოების მისწრაფების გათვალისწინებით, გახდეს მზარდად ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოება, უმაღლესი განათლება არის ის კომპონენტი, რომელიც უმნიშვნელოვანესია სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის. ამავდროულად, უნარებსა და კომპეტენციებზე მზარდი მოთხოვნა უმაღლეს განათლებაში სიახლეების განხორციელებას საჭიროებს.

უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მრავალფეროვანი ინდივიდუალური გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობას აძლევს. უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული მრავალფეროვნებასა და მზარდ მოლოდინებზე რეაგირება ფუნდამენტურ ცვლილებებს მოითხოვს მის საქმიანობაში. კერძოდ, მოითხოვს უფრო მეტად სტუდენტზე-ორიენტირებულ მიდგომას სწავლასა და სწავლებაში; მოქნილი სასწავლო გზების შემოღებასა და ფორმალური კურიკულუმის ფარგლებს გარეთ მიღებული კომპეტენციების აღიარებას. თავად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები უფრო მრავალფეროვანი გახდნენ თავიანთი მისიების, საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისა და კოოპერაციის ფორმების მხრივ მათ შორის ინტერნაციონალიზაციის ამაღლებით, ციფრული სწავლისა და განათლების გადაცემის ახალი ფორმებით<sup>2</sup>. ხარისხის უზრუნველყოფა გადამწყვეტ როლს ასრულებს უმაღლესი განათლების სისტემებისა და დაწესებულებების მიერ ამ ცვლილებებზე რეაგირების ხელშეწყობაში და პარალელურად უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ მიღწეული კვალიფიკაციებისა და უმაღლეს განათლებაში მიღებული გამოცდილების დაწესებულების მისიასთან შესაბამისობას.

ESG-ის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს სწავლასა და სწავლებაში ხარისხის უზრუნველყოფის ერთიან გაგებას, როგორც საზღვრებს მიღმა ასევე სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს<sup>3</sup> შორის. უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცესა და ტრანსნაციონალურ კოოპერაციაში ESG ასრულებდა და კვლავაც შეასრულებს მნიშვნელოვან როლს ეროვნული და ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების განვითარებაში. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში, განსაკუთრებით კი ხარისხის გარე უზრუნველყოფაში, ჩართვით ევროპის უმაღლესი განათლების სისტემებს საშუალება ეძლევათ მოახდინონ ხარისხისა და მზარდი გამჭვირვალობის დემონსტრირება და ამით დაეხმარონ ურთიერთდობის

<sup>2</sup>Communication from the European Commission: Opening up Education: ინოვაციური სწავლება და სწავლა ყველასათვის ახალი ტექნოლოგიებისა და ღია საგანმანათლებლო რესურსების მეშვეობით, COM (2013) 654 final, [http://ec.europa.eu/education/news/doc/openingcom\\_en.pdf](http://ec.europa.eu/education/news/doc/openingcom_en.pdf)

<sup>3</sup>თუ სხვაგვარად არაა განმარტებული, ამ დოკუმენტში დაინტერესებულ მხარედ გაგებულია დაწესებულების ფარგლებში მოქმედი ყველა პირი მ.შ. სტუდენტები და პერსონალი, ისევე როგორც ისეთი გარე დაინტერესებული მხარეები, როგორცაა დამსაქმებელი და დაწესებულების გარე პარტნიორები

ჩამოყალიბებასა და მათი პროგრამების<sup>4</sup>, კვალიფიკაციებისა და სხვა საკითხების აღიარების გაუმჯობესებას.

ESG დაწესებულებებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების მიერ გამოიყენება, როგორც რეფერირების დოკუმენტი უმაღლესი განათლების ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სისტემებისთვის. უფრო მეტიც, მას იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული რეესტრი (EQAR), რომელიც პასუხისმგებელია ESG-ს მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფ ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების რეესტრზე.

---

<sup>4</sup>ამ სტანდარტში ტერმინი “პროგრამა” მიუთითებს უმაღლეს საგანმანათლებლო საკმინობაზე მისი ფართო გაგებით. მათ შორის ის მოიცავს ისეთ საკმინობასაც, რომელიც არაა ფორმალური აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი პროგრამის ნაწილი



## მოქმედების სფერო და ცნებები

ESG არის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების ნაკრები უმაღლესი განათლების ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფისათვის. ESG არაა ხარისხის სტანდარტი, არც იმის აღწერაა თუ როგორ ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი, ესაა სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავს იმ სფეროებს, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია უმაღლეს განათლებაში წარმატებული სასწავლო გარემოსა და ხარისხიანი საქმიანობისათვის. ESG უნდა განვიხილოთ უფრო ფართო კონტექსტში, რომელიც ასევე მოიცავს კვალიფიკაციის ჩარჩოებს, ECTS<sup>5</sup> და დიპლომის დანართს, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს გამჭვირვალობისა და ორმხრივი ნდობის ამაღლებას უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში (EHEA).

**ESG-ი ფოკუსირებულია უმაღლეს განათლებაში სწავლასა და სწვლების ხარისხის უზრუნველყოფაზე მათ შორის სასწავლო გარემოზე და კვლევაზე და ინოვაციასთან შესაბამის კავშირებზე.** გარდა ამისა, დაწესებულებებს ჩამოყალიბებული აქვთ პოლიტიკა და პროცესები მმართველობისა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესებისათვის.

**ESG ვრცელდება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო საქმიანობაზე სწავლის ფორმისა და განხორციელების ადგილის მიუხედავად.** ამდენად, ESG გამოიყენება ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო საქმიანობაში, მათ შორის ტრანსნაციონალურ და საზღვარებს გარეთ განხორციელების პირობებშიც კი. **ამ დოკუმენტში ტერმინი “პროგრამა” მიუთითებს უმაღლეს საგანმანათლებლო საქმიანობაზე მისი ფართო გაგებით,** რაც მოიცავს ისეთ საქმიანობასაც, რომელიც შეიძლება არ იყოს ფორმალური აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი პროგრამის ნაწილი.

უმაღლესი განათლება სხვადასხვა მიზნის მიღწევას ემსახურება. მათ შორისაა სტუდენტების მომზადება აქტიური მოქალაქეობისა და მათი მომავალი კარიერისათვის (მაგალითად, ხელი შეუწყოს მათ დასაქმებას); სტუდენტების პიროვნული განვითარების მხარდაჭერა; ცოდნის ფართო, მოწინავე ბაზის შექმნა და კვლევისა და ინოვაციის სტიმულირება<sup>6</sup>.

აქედან გამომდინარე, დაინტერესებულმა მხარეებმა შესაძლებელია განსხვავებულ მიზნებს მიანიჭონ პრიორიტეტი და უმაღლესი განათლების ხარისხი განსხვავებულად განიხილონ.

ამდენად, ხარისხის უზრუნველყოფამ ეს განსხვავებული პერსპექტივები უნდა გაითვალისწინოს. ხარისხი, მიუხედავად მისი განსაზღვრის სირთულისა, ძირითადად სტუდენტს, მასწავლებელსა და სასწავლო გარემოს შორის ინტერაქციის შედეგია. ხარისხის უზრუნველყოფამ უნდა უზრუნველყოს ისეთი სასწავლო გარემოს ჩამოყალიბება, სადაც პროგრამის შინაარსი, სწავლის შესაძლებლობები და საშუალებები დასახულ მიზანთანაა შესაბამისობაში.

ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობის ცენტრშია *ანგარიშვალდებულებებისა* და

<sup>5</sup>ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა

<sup>6</sup>ევროსაბჭოს უმაღლეს განათლებასა და კვლევაზე პასუხმგებელ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec (2007)6 , [http://www.coe.int/t/dg4/highereducation/News/pub\\_res\\_EN.pdf](http://www.coe.int/t/dg4/highereducation/News/pub_res_EN.pdf)

განვითარების ორმაგი მიზანი. ორივე ერთად აღებული ქმნის ნდობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის მიმართ. ხარისხის უზრუნველყოფის წარმატებული სისტემა ინფორმაციას აწვდის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა (უსდ) და საზოგადოებას უსდ-ს საქმიანობის ხარისხის შესახებ (ანგარიშვალდებულება), ისევე როგორც უსდ-ს აძლევს რჩევასა და რეკომენდაციებს საქმიანობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით (განვითარება). ამგვარად, ხარისხის უზრუნველყოფა და ხარისხის განვითარება ურთიერთკავშირშია. მათ შეიძლება ხელი შეუწყონ ხარისხის კულტურის განვითარებას, რომელიც მოიცავს ყველას: სტუდენტებიდან და აკადემიური პერსონალიდან დაწყებული, უსდ-ს ხელმძღვანელობითა და მენეჯმენტით დამთავრებული.

**ამ დოკუმენტში ტერმინი “ხარისხის უზრუნველყოფა” გამოიყენება ყველა იმ საქმიანობის აღსაწერად, რომელსაც მოიცავს უწყვეტი გაუმჯობესების ციკლი (ე.ი. ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების საქმიანობა).**

თუ სხვაგვარად არაა განმარტებული, ამ დოკუმენტში დაინტერესებულ მხარედ გაგებულია დაწესებულების ფარგლებში მოქმედი ყველა პირი, მათ შორის სტუდენტები და პერსონალი, ისევე როგორც გარე დაინტერესებული მხარე, როგორცაა დამსაქმებელი და დაწესებულების გარე პარტნიორები.

ამ დოკუმენტის მიზნებისთვის “დაწესებულება” არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. დაწესებულების მიდგომებიდან გამომდინარე ხარისხის უზრუნველყოფა შეიძლება შეეხებოდეს მთლიანად უსდ-ს ან ამ დაწესებულების ნებისმიერ აქტორს.

## ESG: მიზნები და პრინციპები

ESG-ს აქვს შემდეგი მიზნები:

- შექმნას სწავლისა და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის საერთო ჩარჩო ევროპულ, ეროვნულ და ინსტიტუციურ დონეზე;
- უზრუნველყოს და გააუმჯობესოს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხი;
- მხარი დაუჭიროს ურთიერთდობას და ამით ხელი შეუწყოს აღიარებასა და მობილობას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ;
- საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ.

ეს მიზნები გვაძლევს ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც ESG შეიძლება განსხვავებულად იყოს გამოყენებული და განხორციელებული სხვადასხვა დაწესებულებაში, სააგენტოსა თუ ქვეყანაში. უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეს ახასიათებს პოლიტიკური და უმაღლესი განათლების სისტემების, სოციო-კულტურული და საგანმანათლებლო ტრადიციების, ენების, მისწრაფებებისა და მოლოდინების მრავალფეროვნება, რაც ხარისხსა და ხარისხის უზრუნველყოფასთან მიმართებაში ერთიან მონოლითურ მიდგომას შეუსაბამოს ხდის. ყველა სტანდარტის ფართო მიმღებლობა ევროპაში ხარისხის უზრუნველყოფის საერთო გაგების ჩამოყალიბების წინაპირობას წარმოადგენს. ამ მიზეზის გამო საჭიროა, რომ ESG იყოს გონივრულად განზოგადებული, რათა უზრუნველყოს მისი გამოყენება ყველა ფორმის საგანმანათლებლო საქმიანობისთვის.

ESG განსაზღვრავს კრიტერიუმებს ევროპულ დონეზე, რომლის საფუძველზეც ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებისა და მათი საქმიანობის შეფასება.<sup>7</sup> რაც, უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში, ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების მიერ ერთი და იგივე პრინციპების ერთგულებასა და საკუთარი კონტექსტის მიზნებისა და მოთხოვნების შესაბამისად პროცესებისა და პროცედურების ფორმირებას განაპირობებს.

ESG ეფუძნება უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის შემდეგ ოთხ პრინციპს:

- საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხსა და მის უზრუნველყოფაზე უპირველეს ყოვლისა პასუხისმგებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;
- ხარისხის უზრუნველყოფა რეაგირებს უმაღლესი განათლების სისტემების, დაწესებულებების, პროგრამებისა და სტუდენტების მრავალფეროვნებაზე;
- ხარისხის უზრუნველყოფა ხელს უწყობს ხარისხის კულტურის განვითარებას;
- ხარისხის უზრუნველყოფა ითვალისწინებს სტუდენტების, ყველა სხვა დაინტერესებული მხარისა და საზოგადოების საჭიროებებსა და მოლოდინებს.

<sup>7</sup>სააგენტოები, რომლებიც განაცხადს შეიტანენ ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ რეესტრში (EQAR) ჩართვის მიზნით, გაივლიან გარე შეფასების პროცესს ESG-ს კრიტერიუმების საფუძველზე. გარდა ამისა, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია (ENQA) ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოსათვის სრული წევრობის სტატუსის მინიჭებისას ეფუძნება ESG-ს სტანდარტებთან მის შესაბამისობას

## II. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები

ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები სამ ნაწილადაა გაყოფილი:

- ხარისხის შიდა უზრუნველყოფა
- ხარისხის გარე უზრუნველყოფა
- ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოები

ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ნაწილები მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული და სამივე ერთად ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ჩარჩოს საფუძველს ქმნის. ნაწილი 2, ხარისხის გარე უზრუნველყოფა, აღიარებს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სტანდარტს, რომელიც პირველ ნაწილშია მოცემული და ამით უზრუნველყოფს დაწესებულების მიერ განხორციელებული შიდა საქმიანობის პირდაპირ რელევანტურობას ხარისხის გარე უზრუნველყოფასთან. აღნიშნულის მსგავსად, მესამე ნაწილი იმოწმებს მეორე ნაწილს. ამდენად, ეს სამი ნაწილი, როგორც უსდ-ებში, ასევე სააგენტოებში ურთიერთზე დამატებით ფუნქციონირებს და ასევე ითვალისწინებს იმ ფაქტსაც, რომ ამ ჩარჩოში სხვა დაინტერესებულ მხარესაც შეაქვს თავისი წვლილი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამივე ნაწილი უნდა წავიკითხოთ, როგორც ერთი მთლიანობა.

**სტანდარტი** ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის შეთანხმებულ და მისაღებ პრაქტიკას უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში და ამდენად, ის გათვალისწინებული და დაცული უნდა იყოს უმაღლესი განათლების ნებისმიერ საქმიანობაში შესაბამისი პირების მიერ.<sup>8</sup> დამოწმების გაადვილების მიზნით სტანდარტების შემაჯამებელი ჩამონათვალი მოცემულია დანართში.

**სახელმძღვანელო პრინციპები** განმარტავს სტანდარტის მნიშვნელობას და აღწერს სტანდარტის განხორციელების შესაძლებლობებს. მას ხარისხის უზრუნველყოფაში ჩართული პირების წინაშე განსახილველად გამოაქვს შესაბამის სფეროში არსებული წარმატებული გამოცდილება. ამასთან, კონტექსტის მრავალფეროვნებდან გამომდინარე განხორციელებაც განსხვავებული იქნება.

---

<sup>8</sup>სტანდარტი ინგლისურ სიტყვა “should” -ს იყენებს დანიშნულების/განკარგვისა და შესრულების მნიშვნელობით

# ნაწილი 1. სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ხარისხის შიდა უზრუნველყოფისთვის

## 1.1 ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

### სტანდარტი:

დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ხარისხის უზრუნველყოფის საჯაროდ ხელმისაწვდომი პოლიტიკა, რომელიც მისი სტრატეგიული მენეჯმენტის ნაწილია. შიდა დაინტერესებულმა მხარეებმა გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობით უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ ეს პოლიტიკა შესაბამისი სტრუქტურებისა და პროცესების მეშვეობით.

### სახელმძღვანელო პრინციპები:

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და პროცესი არის თანამიმდევრული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის ძირითადი საყრდენი; ის ქმნის უწყვეტი გაუმჯობესების ციკლს და ხელს უწყობს დაწესებულების ანგარიშვალდებულების ზრდას. ის ქმნის პირობებს ისეთი ხარისხის კულტურის განვითარებისათვის, რომლის პირობებშიც ყველა შიდა დაინტერესებული მხარე პასუხისმგებელია ხარისხზე და დაწესებულების ყველა დონეზე ჩართულია ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში. ზემოაღნიშნულის ხელშეწყობის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას ოფიციალური სტატუსი აქვს და საჯაროდ ხელმისაწვდომია.

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ყველაზე ეფექტიანია მაშინ, როდესაც ის ასახავს ურთიერთობას კვლევას, სწავლასა და სწავლებას შორის და ითვალისწინებს, როგორც ეროვნულ კონტექსტს, რომელშიც ფუნქციონირებს უსდ, ასევე ინსტიტუციურ კონტექსტსა და მის სტრატეგიულ მიდგომებს. ასეთი პოლიტიკა ხელს უწყობს:

- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ორგანიზებას;
- დეპარტამენტებს, სკოლებს, ფაკულტეტებსა და სხვა ორგანიზაციულ ერთეულებს, ისევე როგორც დაწესებულების ხელმძღვანელობას, თითოეულ თანამშრომელსა და სტუდენტებს, პასუხისმგებლობა აიღონ ხარისხის უზრუნველყოფაზე;
- აკადემიურ პატიოსნებასა და თავისუფლებას და სიფხიზლეს აკადემიური თაღლითობის წინააღმდეგ;
- შეუწყნარებლობისა და ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისაგან სტუდენტებისა და თანამშრომლების დაცვას;
- ხარისხის უზრუნველყოფაში გარე დაინტერესებული მხარეების ჩართვას.

ეს პოლიტიკა პრაქტიკაში “ითარგმნება” ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მრავალფეროვანი პროცესების მეშვეობით და დაწესებულების ფარგლებში მასში მონაწილეობის საშუალებას იძლევა. თუმცა, როგორ განხორციელდება ეს პოლიტიკა, მისი მონიტორინგი და რევიზია დამოკიდებულია დაწესებულების გადაწყვეტილებაზე. ამასთან, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ასევე მოიცავს დაწესებულების საქმიანობის ნებისმიერ ელემენტს, რომელიც ხორციელდება ქვეკონტრაქტით ან სხვა პარტნიორის მიერ.

## 1.2 პროგრამების შემუშავება და დამტკიცება

### სტანდარტი:

დაწესებულებას უნდა ჰქონდეს პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების პროცესები. პროგრამა ისე უნდა ჩამოყალიბდეს, რომ მიაღწიოს მისთვის დასახულ მიზნებს და მათ შორის მოსალოდნელ სწავლის შედეგებს. პროგრამის დასრულების შედეგად მისაღები კვალიფიკაცია მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული და გადმოცემული; სწორად უნდა მიეთითოს უმაღლესი განათლების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე და შესაბამისად, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეც.

### სახელმძღვანელო პრინციპები:

საგანმანათლებლო პროგრამა არის უსდ-ს სასწავლო მისიის მთავარი ნაწილი. ის სტუდენტებს აძლევს, როგორც აკადემიურ ცოდნას ასევე უნარებს მათ შორის ტრანსფერულ უნარებს, ამ უკანასკნელმა შეიძლება გავლენა მოახდინოს მათ პიროვნულ განვითარებაზე და მათ მომავალ კარიერაში იყოს გამოყენებული.

### პროგრამა:

- შემუშავებულია დაწესებულების სტრატეგიასთან შესაბამისობაში მყოფი პროგრამის ყოვლისმომცველი მიზნებით და აქვს მკაფიოდ განსაზღვრული მოსალოდნელი სწავლის შედეგები;
- შემუშავებულია სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით; იყენებს გარე ექსპერტებსა და სხვა რელევანტურ წყაროებს;
- ასახავს ევროსაბჭოს მიერ უმაღლესი განათლებისთვის შემუშავებულ ოთხ მიზანს (იხ. მოქმედების სფერო და ცნებები);
- შემუშავებულია ისე, რომ იძლევა სტუდენტების დაუბრკოლებელი პროგრესის საშუალებას;
- განსაზღვრავს სტუდენტების მოსალოდნელ სასწავლო დატვირთვას მაგ., ECTS-ის კრედიტებით;
- საჭიროების შემთხვევაში, მოიცავს კარგად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდილების შესაძლებლობებს<sup>9</sup>;
- ექვემდებარება ფორმალური დამტკიცების შიდა ინსტიტუციურ პროცესს.

## 1.3 სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა, სწავლება და შეფასება

### სტანდარტი:

დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პროგრამის ისეთი გზით მიწოდება, რაც წახალისებს სტუდენტებს შეასრულონ აქტიური როლი სასწავლო პროცესის ჩამოყალიბებაში. ამასთან, სტუდენტების შეფასებამ უნდა ასახოს ეს მიდგომა.

### სახელმძღვანელო პრინციპები:

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა და სწავლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს სტუდენტის მოტივაციის, თვით-რეფლექციისა და სასწავლო პროცესში ჩართულობის სტიმულირებაში. ეს ნიშნავს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის

<sup>9</sup> პრაქტიკული გამოცდილება მოიცავს ტრენინგს, სტაჟირებას და პროგრამით განსაზღვრულ სხვა პერიოდს, რომელსაც სტუდენტი ატარებს ინსტიტუტის გარეთ და რომელიც მას აძლევს გამოცდილებას თავის სწავლასთან დაკავშირებულ სფეროში

შემუშავება და განხორციელება, ასევე შედეგების შეფასება განსაკუთრებული ყურადღებითა და სიფრთხილით უნდა განიხილებოდეს.

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლისა და სწავლების განხორციელება:

- პატივს სცემს და ზრუნავს სტუდენტების მრავალფეროვნებასა და მათ საჭიროებებზე და იძლევა მოქნილი სასწავლო გზების არსებობის საშუალებას;
- საჭიროების შემთხვევაში, განიხილავს და იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდების განსხვავებულ ფორმებს;
- მოქნილად იყენებს მრავალფეროვან პედაგოგიურ მეთოდებს;
- რეგულარულად აფასებს და შესაბამისობაში მოჰყავს საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდების ფორმები და პედაგოგიური მეთოდები;
- ავითარებს სტუდენტებში ავტონომიურობის გრძობას და ამავდროულად, უზრუნველყოფს ადეკვატურ კონსულტაციებსა და მხარდაჭერას მასწავლებლების მხრიდან;
- ხელს უწყობს ურთიერთპატივისცემას მასწავლებელი-მოსწავლის ურთიერთობაში;
- ქმნის შესაბამის პროცედურებს სტუდენტური საჩივრების განსახილველად.

სტუდენტების პროგრესისა და მათი მომავალი კარიერისათვის შეფასების მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეფასებასთან დაკავშირებული ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი ითვალისწინებს შემდეგს:

- შემფასებლისთვის კარგადაა ცნობილი არსებული ტესტირებისა და გამოცდების მეთოდები და იგი იღებს მხარდაჭერას ამ სფეროში თავისი უნარების განვითარებისათვის;
- შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები, ისევე როგორც ნიშნის კრიტერიუმები გამოქვეყნებულია წინასწარ;
- შეფასება საშუალებას აძლევს სტუდენტს მოახდინოს მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევის დონის დემონსტრირება. სტუდენტი იღებს უკუკავშირს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო პროცესთან დაკავშირებითაც იძლევა რჩევებს;
- სადაც შესაძლებელია, შეფასება ხორციელდება ერთზე მეტი შემფასებლის მიერ;
- შეფასების რეგულაციები ითვალისწინებს შემამსუბუქებელ გარემოებებს;
- შეფასება თანამიმდევრულია და სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ და ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად;
- სტუდენტებისთვის შემუშავებულია აპელაციის ფორმალური პროცედურა.

#### 1.4 სტუდენტის მიღება, პროგრესია, აღიარება და სერტიფიცირება

##### სტანდარტი:

დაწესებულებამ თანამიმდევრულად უნდა გამოიყენოს წინასწარ განსაზღვრული და გამოქვეყნებული რეგულაციები, რომელიც მოიცავს “სტუდენტური ცხოვრების ციკლის” ყველა ფაზას. მაგ., სტუდენტის მიღება, პროგრესია, აღიარება და სერტიფიცირება (კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა)<sup>10</sup>.

##### სახელმძღვანელო პრინციპები:

<sup>10</sup>ფრჩხილებში მითითებული შენიშვნა გაკეთებულია მთარგმნელის მიერ



სტუდენტებისთვის აკადემიურ კარიერაში წარმატების მისაღწევად აუცილებელი პირობებისა და ხელშეწყობის უზრუნველყოფა თითოეული სტუდენტის, დაწესებულებისა და მთელი სისტემის ინტერესებში შედის. არსებითად მნიშვნელოვანია დასახულ მიზანთან შესაბამისი მიღების, აღიარებისა და სწავლის დასრულების პროცედურების არსებობა, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც სტუდენტები ახორციელებენ მობილობას, როგორც უმაღლესი განათლების ეროვნული სისტემის ფარგლებში, ასევე მის გარეთ, საერთაშორისო დონეზე.

მნიშვნელოვანია, რომ დაშვების პოლიტიკა, მიღების პროცესი და კრიტერიუმები განხორციელდეს თანამიმდევრული და გამჭვირვალე გზით. ეს პროცესი ასევე უნდა ითვალისწინებდეს ინფორმაციის გავრცელებას დაწესებულებისა და პროგრამის შესახებ.

სტუდენტების პროგრესის შესახებ ინფორმაციის შეგროვების, მონიტორინგისა და რეაგირებისათვის დაწესებულებაში უნდა არსებობდეს შესაბამისი პროცესები და ინსტრუმენტები. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების, სწავლის პერიოდისა და წინმსწრები განათლების, მათ შორის არაფორმალური განათლებისა და თვითგანათლების სამართლიანი აღიარება სასწავლო პროცესში სტუდენტების პროგრესის უზრუნველყოფის არსებითი კომპონენტია, რომელიც იმავდროულად მობილობის პროცესსაც უწყობს ხელს.

აღიარების შესაბამისი პროცედურები ეფუძნება:

- აღიარების ინსტიტუციურ გამოცდილებას, რომელიც შესაბამისობაშია ლისაბონის აღიარების კონვენციასთან;
- თანამშრომლობას სხვა დაწესებულებებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოსა და ENIC/NARIC<sup>11</sup> ეროვნულ ცენტრთან, რათა ქვეყნის მასშტაბით უზრუნველყოფილი იყოს აღიარების შეთანხმებული პროცედურები და კრიტერიუმები.

საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულება სტუდენტის სასწავლო პერიოდის კულმინაციას წარმოადგენს. სტუდენტს სჭირდება ისეთი დოკუმენტაციის მიღება, რომელიც განმარტავს მიღებულ კვალიფიკაციას მათ შორის მიღწეულ სწავლის შედეგებსა და წარმატებულად დასრულებული სწავლის კონტექსტს, დონეს, შინაარსსა და სტატუსს.

## 1.5 მასწავლებლები/ლექტორები

### სტანდარტი:

დაწესებულება მასწავლებლების კომპეტენციაში დარწმუნებული უნდა იყოს. მან უნდა გამოიყენოს თანამშრომლების სამსახურში მიღებისა და მათი შემდგომი განვითარების სამართლიანი და გამჭვირვალე პროცესები.

### სახელმძღვანელო პრინციპები:

მასწავლებლის როლი არსებითია მაღალი ხარისხის სტუდენტური გამოცდილების

<sup>11</sup>ENIC/NARIC- კვალიფიკაციების აღიარების ქსელი, რომელიც ხელს უწყობს ლისაბონის აღიარების კონვენციის (1997) განხორციელებას



მიღებასა და ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შექმნაში. სტუდენტების მრავალფეროვნება და სწავლის შედეგებზე მკაცრი ფოკუსირება მოითხოვს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლასა და სწავლებას და ამდენად, მასწავლებლის როლის ცვლილებასაც (იხ. სტანდარტი 1.3).

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას პირველადი პასუხისმგებლობა აკისრია საკუთარი თანამშრომლების ხარისხსა და მათთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნაზე, რაც მათ საქმიანობის ეფექტურად განხორციელების საშუალებას მისცემთ.

ასეთი გარემო:

- ადგენს და მისდევს თანამშრომლების მიღების მკაფიო, გამჭვირვალე და სამართლიან პროცესებს და ასევე საქმიანობის პირობებს, რომელიც აღიარებს სწავლების მნიშვნელობას;
- მხარს უჭერს და ქმნის შესაძლებლობებს მასწავლებლების პროფესიული განვითარებისათვის;
- ხელს უწყობს სამეცნიერო საქმიანობას, რათა გაამდიეროს კავშირი განათლებასა და კვლევას შორის;
- ხელს უწყობს ინოვაციას სწავლების მეთოდებში და ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას.

## 1.6 სასწავლო რესურსები და სტუდენტების მხარდაჭერა

**სტანდარტი:**

დაწესებულებას უნდა ჰქონდეს სათანადო დაფინანსება სწავლისა და სწავლების საქმიანობის განსახორციელებლად და უნდა უზრუნველყოს ადეკვატური და იოლად ხელმისაწვდომი სასწავლო რესურსებისა და სტუდენტების მხარდაჭერი სერვისების არსებობა.

**სახელმძღვანელო პრინციპები:**

კარგი უმაღლესი საგანმანათლებლო გამოცდილებისა და სწავლაში მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულება ვალდებულია სტუდენტებს რესურსების ფართო სპექტრი შესთავაზოს. ეს სპექტრი ვარირებს ფიზიკური რესურსებიდან (ბიბლიოთეკა, სასწავლო რესურსები და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა) ადამიანურ მხარდაჭერამდე, კონსულტანტებისა და სხვა მრჩეველთა სახით. მხარდაჭერი სერვისების როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტების მობილობის ხელშეწყობისთვის, როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო დონეზე.

სასწავლო რესურსებისა და სტუდენტების მხარდაჭერის დაგეგმვის, განაწილებისა და უზრუნველყოფისას დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სხვადასხვა ტიპის (ზრდასრული, არასრული სასწავლო დატვირთვის, დასაქმებული და საერთაშორისო სტუდენტები, ისევე როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტები) სტუდენტების საჭიროებები, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლაზე გადასვლა და სწავლისა და სწავლების მოქნილი ფორმები.

უსდ-ს კონტექსტიდან გამომდინარე მხარდაჭერი აქტივობებისა და საშუალებების

ორგანიზება სხვადასხვა გზებითაა შესაძლებელი. ამასთან, ხარისხის შიდა უზრუნველყოფამ უნდა დაადასტუროს, რომ ყველა რესურსი მიზნის შესაბამისი და ხელმისაწვდომია და სტუდენტები ინფორმირებულნი არიან არსებული სერვისების შესახებ.

მხარდამჭერი სერვისების მიწოდებაში ადმინისტრაციული და მხარდამჭერი სერვისების თანამშრომლების როლი უმნიშვნელოვანესია. შესაბამისად, ისინი კვალიფიციურნი უნდა იყვნენ და შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ განვიტარონ საკუთარი კომპეტენციები.

## 1.7 ინფორმაციის მენეჯმენტი

### სტანდარტი:

დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს რელევანტური ინფორმაციის შეგროვება, გაანალიზება და გამოყენება თავისი პროგრამებისა და სხვა აქტივობების ეფექტური მენეჯმენტისთვის.

### სახელმძღვანელო პრინციპები:

სანდო მონაცემი არსებითად მნიშვნელოვანია ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და ასევე იმის გასაგებად, თუ რა მუშაობს კარგად და რას სჭირდება ყურადღების მიქცევა. საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვა აქტივობების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის ეფექტური პროცესები მონაცემებით ამარაგებს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემას.

შეგროვებული ინფორმაცია, გარკვეულწილად, დამოკიდებულია დაწესებულების ტიპზე და მისიაზე. ინტერესს იწვევს შემდეგი მონაცემები:

- საქმიანობის ძირითადი ინდიკატორები;
- სტუდენტების პროფილები;
- სტუდენტების პროგრესია, მიღწევებისა და გარიცხვის მაჩვენებლები;
- სტუდენტების კმაყოფილება თავიანთ პროგრამებთან მიმართებაში;
- ხელმისაწვდომი სასწავლო რესურსების და სტუდენტთა მხარდაჭერის არსებული სერვისები;
- კურსდამთავრებულთა კარიერული გზები.

შესაძლებელია ინფორმაციის შეგროვების სხვადასხვა გზის გამოყენება. მნიშვნელოვანია სტუდენტებისა და თანამშრომლების ჩართულობა, როგორც ინფორმაციის მიწოდებასა და ანალიზში, ასევე შემდგომი საქმიანობის დაგეგმვაში.

## 1.8 საჯარო ინფორმაცია

### სტანდარტი:

დაწესებულებამ უნდა გამოაქვეყნოს ინფორმაცია თავისი საქმიანობის, მათ შორის პროგრამების შესახებ, რომელიც მკაფიო, ზუსტი, ობიექტური, განახლებული და ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

### სახელმძღვანელო პრინციპები:

ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობის შესახებ საინტერესოა არსებული და მომავალი სტუდენტებისათვის, ისევე, როგორც კურსდამთავრებულების, სხვა

დაინტერესებული მხარეებისა და საზოგადოებისათვის.

ამიტომ, დაწესებულება ავრცელებს ინფორმაციას თავისი საქმიანობის შესახებ, მათ შორის პროგრამებისა და ამ პროგრამაზე სტუდენტების შერჩევის კრიტერიუმების შესახებ; ამ პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესახებ; სწავლა-სწავლებისა და შეფასების პროცედურების, გამსვლელი ქულებისა და სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი სასწავლო შესაძლებლობების შესახებ, ასევე ინფორმაციას დასაქმების შესახებ.

### 1.9 მიმდინარე მონიტორინგი და პროგრამების პერიოდული შეფასება

#### სტანდარტი:

დაწესებულებამ უნდა განახორციელოს თავისი პროგრამების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება, რათა უზრუნველყოს დაგეგმილი მიზნების მიღწევა და რეაგირება მოახდინოს სტუდენტებისა და საზოგადოების საჭიროებებზე. შეფასებამ უნდა გამოიწვიოს პროგრამების უწყვეტი გაუმჯობესება. ამ პროცესის შედეგად დაგეგმილი ან განხორციელებული ნებისმიერი აქტივობა უნდა ეცნობოს ყველა შესაბამის მხარეს.

#### სახელმძღვანელო პრინციპები:

საგანმანათლებლო პროგრამების რეგულარული მონიტორინგის, შეფასებისა და რევიზიის მიზანია პროგრამის სათანადოდ განხორციელების უზრუნველყოფა და სტუდენტების მხარდამჭერი და ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა.

ის მოიცავს ისეთი საკითხების შეფასებას როგორცაა:

- საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს უახლეს კვლევებს მოცემულ დისციპლინაში და უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- საზოგადოების ცვალებადი საჭიროებები;
- სტუდენტების სასწავლო დატვირთვა, პროგრესია და პროგრამის დასრულება;
- სტუდენტების შეფასების პროცედურების ეფექტურობა;
- საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში სტუდენტების მოლოდინები, საჭიროებები და კმაყოფილება;
- სასწავლო გარემო და სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები და მოცემული პროგრამის მიზნებთან მათი შესაბამისობა.

პროგრამების შეფასება და რევიზია ხორციელდება პერიოდულად სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. ხდება მიღებული ინფორმაციის განალიზება და პროგრამის მოდიფიცირება/ადაპტირება მისი განახლების უზრუნველსაყოფად. განახლებული პროგრამა ექვემდებარება გამოქვეყნებას.

### 1.10 პერიოდული ხარისხის გარე უზრუნველყოფა

#### სტანდარტი:

დაწესებულებებმა პერიოდულად უნდა გაიარონ ESG-ს შესაბამისი ხარისხის გარე უზრუნველყოფა.

**სახელმძღვანელო პრინციპები:**

ხარისხის გარე უზრუნველყოფას, თავისი მრავალფეროვანი ფორმებით, შეუძლია გადაამოწმოს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ეფექტურობა, იმოქმედოს, როგორც გაუმჯობესების კატალიზატორმა და ახალი პერსპექტივები შესთავაზოს დაწესებულებას. ის დაწესებულებასა და საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას დაწესებულების საქმიანობის ხარისხის შესახებ.

დაწესებულება მონაწილეობს ხარისხის პერიოდულ გარე უზრუნველყოფაში, რომელიც ითვალისწინებს საკანონმდებლო ჩარჩოს, რომელშიც ის ფუნქციონირებს. ამდენად, ამ საკანონმდებლო ჩარჩოზე დაყრდნობით, ხარისხის გარე უზრუნველყოფამ შეიძლება სხვადასხვა ფორმა მიიღოს და ფოკუსირებული იყოს განსხვავებულ ორგანიზაციულ დონეებზე (როგორცაა პროგრამა, ფაკულტეტი ან დაწესებულება).

ხარისხის უზრუნველყოფა არის უწყვეტი პროცესი, რომელიც არ მთავრდება გარედან უკუკავშირის, ანგარიშის მიღების ან დაწესებულების ფარგლებში მიმდინარე შემდგომი პროცესებით. შესაბამისად დაწესებულება უზრუნველყოფს ხარისხის ბოლო გარე უზრუნველყოფის პროცესის შედეგად მიღწეული პროგრესის გათვალისწინებას მომდევნო გარე უზრუნველყოფის პროცესისათვის მზადებაში.

## ნაწილი 2. სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ხარისხის გარე უზრუნველყოფისთვის

### 2.1 ხარისხის შიდა უზრუნველყოფის გათვალისწინება

#### სტანდარტი:

ხარისხის გარე უზრუნველყოფის სისტემამ რეაგირება უნდა მოახდინოს ESG-ს პირველ ნაწილში აღწერილ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესების ეფექტიანობაზე.

#### სახელმძღვანელო პრინციპები:

უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება დაწესებულების პასუხისმგებლობას მისი პროგრამებისა და საქმიანობის ხარისხზე. ამდენად, მნიშვნელოვანია რომ ხარისხის გარე უზრუნველყოფამ აღიაროს და მხარი დაუჭიროს ხარისხის უზრუნველყოფაზე დაწესებულების პასუხისმგებლობას. ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფას შორის კავშირის დადასტურების მიზნით ხარისხის გარე უზრუნველყოფა ითვალისწინებს სტანდარტის პირველ ნაწილს. თუმცა, გარე უზრუნველყოფის ტიპიდან გამომდინარე, მისი გათვალისწინება განსხვავებული ფორმებითა და მეთოდებითაა შესაძლებელი.

### 2.2 დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიზანთან შესაბამისობა

#### სტანდარტი:

ხარისხის გარე უზრუნველყოფა უნდა განისაზღვროს და დაიგეგმოს ისე, რომ უზრუნველყოს მისი შესაბამისობა მისთვის დადგენილი მიზნების მიღწევასა და ამოცანების გადაჭრასთან და ამავდროულად გაითვალისწინოს რელევანტური რეგულაციები. დაინტერესებული მხარეები უნდა მონაწილეობდნენ მის დაგეგმვასა და უწყვეტ გაუმჯობესებაში.

#### სახელმძღვანელო პრინციპები:

იმისათვის, რომ უზრუნველყოს ეფექტურობა და ობიექტურობა, ხარისხის გარე უზრუნველყოფისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჰქონდეს დაინტერესებულ მხარეებთან შეთანხმებული მკაფიო მიზნები.

ამ პროცესის მიზნები, ამოცანები და განხორციელება:

- ითვალისწინებს დაწესებულების მიერ გასაწევი სამუშაო დატვირთვის დონესა და დანახარჯებს;
- ითვალისწინებს დაწესებულების ხელშეწყობის საჭიროებას ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;
- საშუალებას აძლევს დაწესებულებას წარმოაჩინოს გაუმჯობესება;
- იძლევა მკაფიო ინფორმაციას შედეგებსა და სამომავლო თანმდევ პროცესებზე.

ხარისხის გარე უზრუნველყოფის სისტემის უფრო მოქნილად ფუნქციონირება შესაძლებელია დაწესებულებების მიერ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემების ეფექტიანობის დემონსტრირების პირობებში.

### 2.3. პროცესების განხორციელება

#### სტანდარტი:

ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესი უნდა იყოს სანდო, სასარგებლო, წინასწარ განსაზღვრული, თანამიმდევრულად განხორციელებული და გამოქვეყნებული. ის მოიცავს:

- თვითშეფასებას ან მის ეკვივალენტს (მასთან გათანაბრებულ პროცესს);
- გარე შეფასებას, რომელიც ჩვეულებრივ მოიცავს ექსპერტების ვიზიტს;
- გარე შეფასების საფუძველზე შემუშავებულ ანგარიშს;
- შემდგომ თანამიმდევრულ საქმიანობას.

#### სახელმძღვანელო პრინციპები:

პროფესიულად, თანამიმდევრულად და გამჭვირვალედ განხორციელებული ხარისხის გარე უზრუნველყოფა უზრუნველყოფს მის მიმღებლობასა და გავლენას. დაწესებულება, ხარისხის გარე უზრუნველყოფის სისტემის დიზაინის შესაბამისად, თვითშეფასების ან სხვა მასალების (მათ შორის მტკიცებულების მხარდასაჭერად) შეგროვების მეშვეობით ხარისხის გარე უზრუნველყოფის განხორციელების საფუძველს იძლევა. წერილობითი დოკუმენტაციის მიღების გარდა, როგორც წესი, დაწესებულებაში ვიზიტის დროს, დაინტერესებული მხარეების ინტერვიუებაც ხდება. შეფასების პროცესში მიღებული მონაცემები გარე ექსპერტების ჯგუფის (იხ. სტანდარტი 2.4) მიერ დაწერილ ანგარიშში ჯამდება (იხ. სტანდარტი 2.5).

ხარისხის გარე უზრუნველყოფა ექსპერტების ანგარიშის შედგენით არ სრულდება. ანგარიში იძლევა მკაფიო სახელმძღვანელო მითითებებს დაწესებულების მიერ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. დაწესებულების მიერ მიღებული ზომების შეფასების მიზნით სააგენტო თანამიმდევრულ, შემდგომ პროცესს ახორციელებს. ამ პროცესის არსი ხარისხის გარე უზრუნველყოფის დიზაინზეა დამოკიდებული.

### 2.4 შეფასების ექსპერტები

#### სტანდარტი:

ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესი უნდა განხორციელდეს გარე ექსპერტთა ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში სულ მცირე ერთი სტუდენტი უნდა შედიოდეს.

#### სახელმძღვანელო პრინციპები:

ხარისხის გარე უზრუნველყოფის საფუძველს ექსპერტების გამოცდილების ფართო სპექტრი წარმოადგენს. მათ სხვადასხვა პერსპექტივიდან (მათ შორის დაწესებულების, აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებლების/პრაქტიკოსების) შეაქვთ თავიანთი წვლილი სააგენტოს საქმიანობაში.

ექსპერტების საქმიანობის თანამიმდევრულობისა და მაღალი მნიშვნელობის უზრუნველსაყოფად, ექსპერტები:

- შეირჩევიან დიდი ყურადღებით;
- ფლობენ შესაბამის უნარებს და კომპეტენტურები არიან მოცემული დავალების

შესასრულებლად;

- გადიან შესაბამის ტრენინგებს ან/და ინსტრუქტაჟს.

სააგენტო უზრუნველყოფს ექსპერტების დამოუკიდებლობას “ინტერესტთა კონფლიქტის გარეშე” პრინციპის გატარებით.

ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესში სასურველია საერთაშორისო ექსპერტის (მაგ., როგორც საექსპერტო ჯგუფის წევრის) ჩართულობაც, ვინაიდან ეს დამატებით განზომილებას აძლევს პროცესების განვითარებასა და განხორციელებას.

## 2.5 შედეგების კრიტერიუმები

### სტანდარტი:

ხარისხის გარე უზრუნველყოფის ნებისმიერი შედეგი ან გადაწყვეტილება დაფუძნებული უნდა იყოს მკაფიო და წინასწარ გამოქვეყნებულ კრიტერიუმებზე, რომლებიც თანამიმდევრულად გამოიყენება მიუხედავად იმისა, იქნება თუ არა პროცესის შედეგი ფორმალური გადაწყვეტილებით გაფორმებული.

### სახელმძღვანელო პრინციპები:

ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესი და განსაკუთრებით კი მისი შედეგები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს იმ დაწესებულებებსა და საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელნიც შეფასდნენ და რომელთა შესახებაც გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

თანასწორობისა და საიმედოობის ინტერესებიდან გამომდინარე ხარისხის გარე უზრუნველყოფის შედეგები დაფუძნებულია წინასწარ განსაზღვრულ და გამოქვეყნებულ კრიტერიუმებზე, რომლებიც თანამიმდევრულადაა განმარტებული და ეფუძნება მტკიცებულებებს. ხარისხის გარე უზრუნველყოფის სისტემიდან გამომდინარე, შეფასების შედეგები შეიძლება სხვადასხვაგვარად გაფორმდეს. მაგ., რეკომენდაცია, დასკვნა ან ფორმალური გადაწყვეტილება.

## 2.6 ანგარიშგება

### სტანდარტი:

ექსპერტების მიერ შედგენილი სრული ანგარიში უნდა გამოქვეყნდეს. ის მკაფიო და ხელმისაწვდომი უნდა იყოს აკადემიური საზოგადოებისათვის, გარე პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის. თუ სააგენტო, ანგარიშზე დაყრდნობით, მიიღებს რაიმე სახის ფორმალურ გადაწყვეტილებას, მაშინ ეს გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს ანგარიშთან ერთად.

### სახელმძღვანელო პრინციპები:

დაწესებულებისთვის ექსპერტების ანგარიში გარე შეფასების შემდგომი აქტივობების საფუძველს წარმოადგენს. ამასთან, ის საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას დაწესებულების საქმიანობის შესახებ. იმისათვის, რომ ანგარიში გახდეს შემდგომი აქტივობების საფუძველი, ის მკაფიო, სტრუქტურულად და ენობრივად ლაკონური უნდა იყოს და უნდა მოცავდეს შემდეგს:

- კონტექსტის აღწერას (რათა გაადვილდეს უსდ-ს ადგილის განსაზღვრა მის

სპეციფიკურ კონტექსტში);

- ინდივიდუალური პროცედურების აღწერას მათ შორის პროცესში ჩართული ექსპერტები;
- მტკიცებულებებს, ანალიზს და კვლევის მიერ გამოკვეთილ სურათს;
- დასკვნებს;
- უსდ-ს მიერ წარმოდგენილი საუკეთესო გამოცდილების მახასიათებლებს;
- რეკომენდაციებს შემდგომი აქტივობების შესახებ.

შესაძლებელია გამოსადეგი იყოს ასევე შემაჯამებელი ანგარიშის მომზადებაც.

ანგარიშის ფაქტობრივი სიზუსტე გაუმჯობესდება თუ ანგარიშისთვის საბოლოო სახის მიცემამდე, დაწესებულებას მიეცემა შესაძლებლობა მიუთითოს ფაქტობრივ შეცდომებზე.

## 2.7 საჩივრები და აპელაცია

### სტანდარტი:

საჩივრებისა და აპელაციის პროცესები, როგორც ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესის ნაწილი, მკაფიოდ განსაზღვრული და დაწესებულებებისათვის ცნობილი უნდა იყოს.

### სახელმძღვანელო პრინციპები:

დაწესებულებების უფლებების დაცვისა და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების უზრუნველსაყოფად ხარისხის გარე უზრუნველყოფა მოქმედებს გახსნილად და ანგარიშვალდებულების პრინციპის გათვალისწინებით.

მიუხედავად ამისა, შესაძლებელია იყოს გარკვეული გაუგებრობები ან უკმაყოფილების შემთხვევები, როგორც პროცესთან ასევე ფორმალურ შედეგთან დაკავშირებით.

დაწესებულებას უნდა ჰქონდეს წვდომა ისეთ პროცესებზე, რომელებიც საშუალებას მისცემს მას სააგენტოს წინაშე დააყენოს მისთვის პრობლემური საკითხები. სააგენტო კი ამ საკითხებს პროფესიონალურად, მკაფიოდ განსაზღვრული და თანამიმდევრულად გამოყენებული პროცესების მეშვეობით უნდა გაუმკლავდეს.

საჩივრების პროცედურა საშუალებას აძლევს დაწესებულებას განაცხადოს მისი უკმაყოფილება პროცესის განხორციელების ან ამ პროცესის განმახორციელებლების მიმართ.

აპელაციის პროცედურის შემთხვევაში დაწესებულება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს პროცესის ფორმალურ შედეგ(ებ)ს; შეძლებისდაგვარად აჩვენებს, რომ შედეგ(ებ)ი არ ემყარება სანდო მტკიცებულებებს და კრიტერიუმები არ იქნა სწორად გამოყენებული ან პროცესი არ იქნა თანამიმდევრულად განხორციელებული.



## ნაწილი 3. სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებისთვის

### 3.1 ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობა, პოლიტიკა და პროცესები

#### სტანდარტი:

სააგენტომ რეგულარულად უნდა განახორციელოს ESG-ს მეორე ნაწილით განსაზღვრული ხარისხის გარე უზრუნველყოფის აქტივობები. მას უნდა ჰქონდეს მკაფიო და ზუსტი მიზნები და ამოცანები, რომელიც მისი, საჯაროდ ხელმისაწვდომი, მისიის განაცხადის ნაწილია. ეს მიზნები და ამოცანები უნდა აისახოს სააგენტოს ყოველდღიურ საქმიანობაში. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების ჩართულობა მართვასა და საქმიანობაში.

#### სახელმძღვანელო პრინციპები:

ხარისხის გარე უზრუნველყოფის მნიშვნელობის დასამკვიდრებლად არსებითია, რომ დაწესებულებები და საზოგადოება ენდობოდნენ სააგენტოებს.

ამდენად, აღწერილი და გამოქვეყნებულია ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობის მიზნები და ამოცანები, ისევე როგორც სააგენტოსა და უმაღლესი განათლებით დაინტერესებულ მხარეებს (განსაკუთრებით უსდ) შორის ურთიერთობის საკითხები და სააგენტოს საქმიანობის სფერო. სააგენტოს გამოცდილება შეიძლება ამაღლდეს მის კომიტეტებში/საბჭოებში საერთაშორისო წევრების ჩართვის მეშვეობით.

სააგენტო სხვადასხვა მიზნის მისაღწევად ხარისხის გარე უზრუნველყოფის სხვადასხვა ქმედებას ახორციელებს, მათ შორისაა ექსპერიზა, განხილვა, აუდიტი, შეფასება, აკრედიტაცია ან სხვა მსგავსი საქმიანობა პროგრამულ და ინსტიტუციურ დონეზე, რომელთა განხორციელებაც სხვადასხვა ფორმითა და ხერხით შეიძლება. თუ სააგენტო ხარისხის უზრუნველყოფისგან განსხვავებულ საქმიანობასაც ახორციელებს, მაშინ აუცილებელია ხარისხის გარე უზრუნველყოფასა და მისი საქმიანობის სხვა სფეროებს შორის მკაფიო განსხვავების ჩვენება.

### 3.2 ოფიციალური სტატუსი

#### სტანდარტი:

სააგენტოს ფუნქციონირება სამართლებრივ საფუძველს უნდა ემყარებოდეს და კომპეტენტური საჯარო ორგანოს მიერ ფორმალურად აღიარებული უნდა იყოს, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო.

#### სახელმძღვანელო პრინციპები:

ხარისხის გარე უზრუნველყოფის რეგულირების მიზნით განხორციელების შემთხვევაში, დაწესებულებებს სჭირდებათ გარანტია, რომ ამ პროცესის შედეგები მიღებული/აღიარებული იქნება უმაღლესი განათლების სისტემის, სახელმწიფოს, დაინტერესებული მხარეებისა და საზოგადოების მიერ.

### 3.3 დამოუკიდებლობა

#### სტანდარტი:

სააგენტო დამოუკიდებელი უნდა იყოს და უნდა მოქმედებდეს ავტონომიურად. მან სრული პასუხისმგებლობა უნდა აიღოს თავის საქმიანობასა და მის შედეგებზე, მესამე მხარის ზეგავლენის გარეშე.

#### სახელმძღვანელო პრინციპები

ავტონომიურ დაწესებულებას პარტნიორად დამოუკიდებელი სააგენტო სჭირდება.

სააგენტოს დამოუკიდებლობისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი:

- ოფიციალურ დოკუმენტში (მაგ., მთავრობის დოკუმენტი, სამართლებრივი აქტი ან ორგანიზაციის წესდება) ასახული ორგანიზაციული დამოუკიდებლობა, რომელიც უზრუნველყოფს მესამე მხარისგან (როგორცაა უსდ, მთავრობა და სხვა დაინტერესებული მხარე) სააგენტოს საქმიანობის დამოუკიდებლობას;
- საქმიანობის დამოუკიდებლობა: სააგენტოს პროცედურებისა და მეთოდების განსაზღვრა და საქმიანობა, ისევე როგორც გარე ექსპერტების დასახელება და დანიშვნა ხორციელდება მესამე მხარისგან (როგორცაა უსდ, მთავრობა და სხვა დაინტერესებული მხარე) დამოუკიდებლად;
- ფორმალური შედეგების დამოუკიდებლობა: ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის საბოლოო შედეგი არის სააგენტოს პასუხისმგებლობა, მიუხედავად იმისა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მონაწილეობას რეგულაციური საფუძვლის მქონე დაინტერესებული მხარეები (განსაკუთრებით სტუდენტები) იღებენ.

ნებისმიერი პირი (მაგ., ექსპერტი), ვისაც კი წვლილი შეაქვს სააგენტოს მიერ განხორციელებულ ხარისხის უზრუნველყოფაში, უნდა იყოს ინფორმირებული იმის თაობაზე, რომ მან უნდა იმოქმედოს პირადი პასუხისმგებლობით და არ უნდა გაატაროს თავისი ორგანიზაციის ინტერესები სააგენტოსთვის მუშაობის დროს, მიუხედავად იმისა, რომ ის შეიძლება ნომინირებული იყოს მესამე მხარის მიერ. დამოუკიდებლობა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ნებისმიერი პროცედურა და გადაწყვეტილება იყოს მხოლოდ და მხოლოდ ექსპერტიზაზე დაფუძნებული.

### 3.4 თემატური ანალიზი

#### სტანდარტი:

სააგენტომ რეგულარულად უნდა გამოაქვეყნოს ანგარიში, რომელიც აღწერს და აანალიზებს ხარისხის გარე უზრუნველყოფის საქმიანობის შედეგად მიღებულ ზოგად სურათს.

#### სახელმძღვანელო პრინციპები:

თავისი საქმიანობის განხორციელების დროს სააგენტო მოიპოვებს ინფორმაციას პროგრამებსა და დაწესებულებებზე, რომელიც შეიძლება ამ პროცესის ფარგლებს მიღმა იყოს სასარგებლო/საინტერესო და უმაღლესი განათლების სისტემის მასშტაბით იძლეოდეს მასალას სტრუქტურირებული ანალიზისათვის.

მდგომარეობის ამსახველ საერთო სურათს (კვლევის მონაცემებს, ფაქტებს)

შეუძლია ხელი შეუწყოს რეფლექსიას ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკასა და პროცესებზე და მათ გაუმჯობესებას ინსტიტუციურ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. ამ ინფორმაციის ამომწურავი და ფრთხილი ანალიზი წარმოაჩენს განვითარებას, ტენდენციებსა და საუკეთესო გამოცდილების სფეროებს ან სერიოზულ სირთულეებს.

### 3.5 რესურსები

#### სტანდარტი:

სააგენტოს თავისი საქმიანობის განსახორციელებლად უნდა ჰქონდეს ადეკვატური და შესაბამისი ადამიანური და ფინანსური რესურსები.

#### სახელმძღვანელო პრინციპები:

საზოგადოებასა და ინდივიდებზე უმაღლესი განათლების მნიშვნელოვანი გავლენის გათვალისწინებით საზოგადოებისვე ინტერესშია, რომ სააგენტო ადეკვატურად და შესაბამისად იყოს დაფინანსებული.

სააგენტოს რესურსები საშუალებას აძლევს მას ეფექტურად და ეფექტიანად განახორციელოს ხარისხის გარე უზრუნველყოფის ღონისძიებები. უფრო მეტიც, რესურსები საშუალებას აძლევს სააგენტოს გაანალიზოს და გააუმჯობესოს საკუთარი გამოცდილება და მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია თავისი საქმიანობის შესახებ.

### 3.6 სააგენტოს ხარისხის შიდა უზრუნველყოფა და პროფესიული ქცევა

#### სტანდარტი:

სააგენტომ უნდა განახორციელოს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესები, რაც მისი საქმიანობის ხარისხისა და კეთილსინდისიერების განსაზღვრასთან, უზრუნველყოფასა და ამაღლებასთან არის დაკავშირებული.

#### სახელმძღვანელო პრინციპები:

სააგენტო ანგარიშვალდებული უნდა იყოს დაინტერესებული მხარეების წინაშე. აქედან გამომდინარე, სააგენტოს საქმიანობისთვის აუცილებელია მაღალი პროფესიული სტანდარტები და კეთილსინდისიერება/პატიოსნება. სააგენტო მუდმივად განიხილავს და აუმჯობესებს საკუთარ საქმიანობას დაწესებულებებისა და საზოგადოებისათვის გაწეული მომსახურების ოპტიმალურობის უზრუნველსაყოფად.

სააგენტოს მიერ გამოყენებული ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პოლიტიკა ხელმისაწვდომია მის ვებგვერდზე. ეს პოლიტიკა:

- უზრუნველყოფს ამ საქმიანობაში ჩართული ყველა პირის კომპეტენტურობასა და მათ მიერ საქმიანობის პროფესიონალურად და ეთიკის დაცვით განხორციელებას;
- მოიცავს შიდა და გარე უკუკავშირის მექანიზმებს, რაც სააგენტოში უწყვეტ გაუმჯობესებას/განვითარებას უზრუნველყოფს;
- აღკვეთს ნებისმიერი სახის შეუწყნარებლობას ან დისკრიმინაციას;
- ასახავს შესაბამის კომუნიკაციას რელევანტურ სახელისუფლო ორგანოებთან, რომელთა იურისდიქციის ფარგლებშიც მოქმედებს;
- უზრუნველყოფს ქვეკონტრაქტორის მიერ განხორციელებული ნებისმიერი

საქმიანობისა და მიღებული მასალის ESG-თან შესაბამისობას, იმ შეთხვევაში თუ სააგენტოს ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობის ზოგიერთი ელემენტი ქვეკონტრაქტით სხვა პარტნიორზეა გადაცემული.

- უფლებას აძლევს სააგენტოს ჩამოაყალიბოს წესები (სტატუსი) და აღიაროს დაწესებულებები, რომელთან ერთადაც ახორციელებს ხარისხის გარე უზრუნველყოფას.

### **3.7 სააგენტოების პერიოდული ხარისხის უზრუნველყოფა**

#### **სტანდარტი:**

სააგენტომ გარე შეფასება სულ მცირე ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც უნდა გაიაროს, რათა აჩვენოს ESG-თან თავისი შესაბამისობა.

#### **სახელმძღვანელო პრინციპები:**

პერიოდული გარე შეფასება დაეხმარება სააგენტოს გააანალიზოს მისი პოლიტიკა და საქმიანობა. ესაა საშუალება, რომელიც დაარწმუნებს სააგენტოსა და მის დაინტერესებულ მხარეებს, რომ ის კვლავ იცავს ESG-ში ასახულ პრინციპებს.

### III. დანართი: სტანდარტების შემაჯამებელი ჩამონათვალი

#### ნაწილი 1. სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ხარისხის შიდა უზრუნველყოფისთვის

##### 1.1 ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ხარისხის უზრუნველყოფის საჯაროდ ხელმისაწვდომი პოლიტიკა, რომელიც მისი სტრატეგიული მენეჯმენტის ნაწილია. შიდა დაინტერესებულმა მხარეებმა გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობით უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ ეს პოლიტიკა შესაბამისი სტრუქტურებისა და პროცესების მეშვეობით.

##### 1.2 პროგრამების შემუშავება და დამტკიცება

დაწესებულებას უნდა ჰქონდეს პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების პროცესები. პროგრამა ისე უნდა ჩამოყალიბდეს, რომ მიაღწიოს მისთვის დასახულ მიზნებს და მათ შორის მოსალოდნელ სწავლის შედეგებს. პროგრამის დასრულების შედეგად მისაღები კვალიფიკაცია მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული და გადმოცემული; სწორად უნდა მიეთითოს უმაღლესი განათლების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე და შესაბამისად, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეც.

##### 1.3 სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა, სწავლება და შეფასება

დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პროგრამის ისეთი გზით მიწოდება, რაც წახალისებს სტუდენტებს შეასრულონ აქტიური როლი სასწავლო პროცესის ჩამოყალიბებაში. ამასთან, სტუდენტების შეფასებამ უნდა ასახოს ეს მიდგომა.

##### 1.4 სტუდენტის მიღება, პროგრესია, აღიარება და სერტიფიცირება

დაწესებულებამ თანამიმდევრულად უნდა გამოიყენოს წინასწარ განსაზღვრული და გამოქვეყნებული რეგულაციები, რომელიც მოიცავს “სტუდენტური ცხოვრების ციკლის” ყველა ფაზას. მაგ., სტუდენტის მიღება, პროგრესია, აღიარება და სერტიფიცირება (კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა)<sup>12</sup>.

##### 1.5 მასწავლებლები/ლექტორები

დაწესებულებამ მასწავლებლების კომპეტენციაში დარწმუნებული უნდა იყოს. მან უნდა გამოიყენოს თანამშრომლების სამსახურში მიღებისა და მათი შემდგომი განვითარების სამართლიანი და გამჭვირვალე პროცესები.

##### 1.6 სასწავლო რესურსები და სტუდენტების მხარდაჭერა

დაწესებულებას უნდა ჰქონდეს სათანადო დაფინანსება სწავლისა და სწავლების საქმიანობის განსახორციელებლად და უნდა უზრუნველყოს ადეკვატური და იოლად ხელმისაწვდომი სასწავლო რესურსებისა და სტუდენტების მხარდაჭერი სერვისების არსებობა.

<sup>12</sup>ფრჩხილებში მითითებული შენიშვნა გაკეთებულია მთარგმნელის მიერ

### **1.7 ინფორმაციის მენეჯმენტი**

დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს რელევანტური ინფორმაციის შეგროვება, გაანალიზება და გამოყენება თავისი პროგრამებისა და სხვა აქტივობების ეფექტური მენეჯმენტისთვის.

### **1.8 საჯარო ინფორმაცია**

დაწესებულებამ უნდა გამოაქვეყნოს ინფორმაცია თავისი საქმიანობის, მათ შორის პროგრამების შესახებ, რომელიც მკაფიო, ზუსტი, ობიექტური, განახლებული და ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

### **1.9 მიმდინარე მონიტორინგი და პროგრამების პერიოდული შეფასება**

დაწესებულებამ უნდა განახორციელოს თავისი პროგრამების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება, რათა უზრუნველყოს დაგეგმილი მიზნების მიღწევა და რეაგირება მოახდინოს სტუდენტებისა და საზოგადოების საჭიროებებზე. შეფასებამ უნდა გამოიწვიოს პროგრამების უწყვეტი გაუმჯობესება. ამ პროცესის შედეგად დაგეგმილი ან განხორციელებული ნებისმიერი აქტივობა უნდა ეცნობოს ყველა შესაბამის მხარეს.

### **1.10 პერიოდული ხარისხის გარე უზრუნველყოფა**

დაწესებულებებმა პერიოდულად უნდა გაიარონ ESG-ს შესაბამისი ხარისხის გარე უზრუნველყოფა.

## **ნაწილი 2. სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ხარისხის გარე უზრუნველყოფისთვის**

### **2.1 ხარისხის შიდა უზრუნველყოფის გათვალისწინება**

ხარისხის გარე უზრუნველყოფის სისტემამ რეაგირება უნდა მოახდინოს ESG-ს პირველ ნაწილში აღწერილ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესების ეფექტიანობაზე.

### **2.2 დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიზანთან შესაბამისობა**

ხარისხის გარე უზრუნველყოფა უნდა განისაზღვროს და დაიგეგმოს ისე, რომ უზრუნველყოს მისი შესაბამისობა მისთვის დადგენილი მიზნების მიღწევასა და ამოცანების გადაჭრასთან და ამავდროულად გაითვალისწინოს რელევანტური რეგულაციები. დაინტერესებული მხარეები უნდა მონაწილეობდნენ მის დაგეგმვასა და უწყვეტ გაუმჯობესებაში.

### **2.3. პროცესების განხორციელება**

ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესი უნდა იყოს სანდო, სასარგებლო, წინასწარ განსაზღვრული, თანამიმდევრულად განხორციელებული და გამოქვეყნებული. ის მოიცავს:

- თვითშეფასებას ან მის ეკვივალენტს (მასთან გათანაბრებულ პროცესს);
- გარე შეფასებას, რომელიც ჩვეულებრივ მოიცავს ექსპერტების ვიზიტს;
- გარე შეფასების საფუძველზე შემუშავებულ ანგარიშს;
- შემდგომ თანამიმდევრულ საქმიანობას.

## **2.4 შეფასების ექსპერტები**

ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესი უნდა განახორციელდეს გარე ექსპერტთა ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში სულ მცირე ერთი სტუდენტი უნდა შედიოდეს.

## **2.5 შედეგების კრიტერიუმები**

ხარისხის გარე უზრუნველყოფის ნებისმიერი შედეგი ან გადაწყვეტილება დაფუძნებული უნდა იყოს მკაფიო და წინასწარ გამოქვეყნებულ კრიტერიუმებზე, რომლებიც თანამიმდევრულად გამოიყენება მიუხედავად იმისა, იქნება თუ არა პროცესის შედეგი ფორმალური გადაწყვეტილებით გაფორმებული.

## **2.6 ანგარიშგება**

ექსპერტების მიერ შედგენილი სრული ანგარიში უნდა გამოქვეყნდეს. ის მკაფიო და ხელმისაწვდომი უნდა იყოს აკადემიური საზოგადოებისათვის, გარე პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის. თუ სააგენტო, ანგარიშზე დაყრდნობით, მიიღებს რაიმე სახის ფორმალურ გადაწყვეტილებას, მაშინ ეს გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს ანგარიშთან ერთად.

## **2.7 საჩივრები და აპელაცია**

საჩივრებისა და აპელაციის პროცესები, როგორც ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესის ნაწილი, მკაფიოდ განსაზღვრული და დაწესებულებებისათვის ცნობილი უნდა იყოს.

## **ნაწილი 3. სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებისთვის**

### **3.1 ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობა, პოლიტიკა და პროცესები**

სააგენტომ რეგულარულად უნდა განახორციელოს ESG-ს მეორე ნაწილით განსაზღვრული ხარისხის გარე უზრუნველყოფის აქტივობები. მას უნდა ჰქონდეს მკაფიო და ზუსტი მიზნები და ამოცანები, რომელიც მისი, საჯაროდ ხელმისაწვდომი, მისიის განაცხადის ნაწილია. ეს მიზნები და ამოცანები უნდა აისახოს სააგენტოს ყოველდღიურ საქმიანობაში. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების ჩართულობა მართვასა და საქმიანობაში.

### **3.2 ოფიციალური სტატუსი**

სააგენტოს ფუნქციონირება სამართლებრივი საფუძველს უნდა ემყარებოდეს და კომპეტენტური საჯარო ორგანოს მიერ ფორმალურად აღიარებული უნდა იყოს, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო.

### **3.3 დამოუკიდებლობა**

სააგენტო დამოუკიდებელი უნდა იყოს და უნდა მოქმედებდეს ავტონომიურად. მან სრული პასუხისმგებლობა უნდა აიღოს თავის საქმიანობასა და მის შედეგებზე, მესამე მხარის ზეგავლენის გარეშე.

### **3.4 თემატური ანალიზი**

სააგენტომ რეგულარულად უნდა გამოაქვეყნოს ანგარიში, რომელიც აღწერს და აანალიზებს ხარისხის გარე უზრუნველყოფის საქმიანობის შედეგად მიღებულ ზოგად სურათს.

### **3.5 რესურსები**

სააგენტოს თავისი საქმიანობის განსახორციელებლად უნდა ჰქონდეს ადეკვატური და შესაბამისი ადამიანური და ფინანსური რესურსები.

### **3.6 სააგენტოს ხარისხის შიდა უზრუნველყოფა და პროფესიული ქცევა**

სააგენტომ უნდა განახორციელოს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესები, რაც მისი საქმიანობის ხარისხისა და კეთილსინდისიერების განსაზღვრასთან, უზრუნველყოფასა და ამაღლებასთან არის დაკავშირებული.

### **3.7 სააგენტოების პერიოდული ხარისხის უზრუნველყოფა**

სააგენტომ გარე შეფასება სულ მცირე ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც უნდა გაიაროს, რათა აჩვენოს ESG-თან თავისი შესაბამისობა.



